



ცვლილებების ისტორია



ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისთვის საქართველოს საქართველოში

„2020 წლის 19 ნოემბერს 13 წელი შესრულდა, რაც მხრით საქართველოს დროშას, გულითა და გონებით ვი ჩემი ქვეყნისა და საქმის წინაშე უზარმაზარ პასუხისმგებლობას ვატარებ“, - განაცხადა 34 წლის მაიორმა, ზოია კურტანიძემ, რომელიც საქართველოს თავდაცვის ძალებში 2007 წლიდან მსახურობს.

მაიორ კურტანიძეს ოფიცრის პირველადი სამხედრო წოდება 2008 წლის ივნისში მიენიჭა, კარიერა კი მან საჰაერო თავდაცვაში დაიწყო. ზოია საბენიტოსარაკეტო ქვედანაყოფში ინჟინერ-ოპერატორი იყო, როცა 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო. „ახალბედა ლეიტენანტი, როგორც საბრძოლო ოფიცერი, ომში წავედი და უკან დიდი გამოცდილებით დავბრუნდი. 3 წლის შემდეგ საშტაბო საქმიანობით დავინტერესდი. მსურდა, უფრო მეტი შესწავლა, განათლება სხვა მიმართულებითაც მიმეღო და საბრძოლო გამოცდილება სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამომეყენებინა“, - აღნიშნა მან.

ფოტოზე: მაიორი ზოია კურტანიძე, რომელიც საქართველოს თავდაცვის ძალებში მსახურობს და გენდერულ საკითხებში თავდაცვის სამინისტროს მრჩეველია.

პარტნიორები ცვლილებისთვის

გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტი „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისთვის საქართველოში“ (2020-2024) მიმდინარეობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, უსაფრთხოების სექტორის მართვის უენვეის ცენტრსა და უსაფრთხოების სექტორის ძირითად წარმომადგენლებთან, მათ შორის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებებთან პარტნიორობით.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების, კოორდინაციისა და შესრულების პროცესში საქართველოს მთავრობის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. ამასთან, იგი სახალხო დამცველის ოფისსა და სამოქალაქო საზოგადოების პარტნიორებს გეგმის შესრულების პროგრესის მონიტორინგშიც ეხმარება. 2021 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის დახმარებით, რეზოლუცია 1325-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი დაიწყო.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში გენდერული მეინსტრიმიინგის საკითხებზე თანამშრომლობს და მხარს უჭერს მას ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების მიმართულებით გაეროს ქალთა ორგანიზაცია დიდი ბრიტანეთის მთავრობის კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისთვის საქართველოში“ ფარგლებში მუშაობს.

პროექტის მიზანია მშვიდობისა და უსაფრთხოების მშენებლობის პროცესებში ქალების თანასწორი, პირდაპირი და ეფექტიანი მონაწილეობის ხელშეწყობა და პასუხისმგებელ პირთა ანგარიშვალდებულების გაზრდა საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებისას ინდივიდუალურ, საზოგადოებრივ, ინსტიტუციურ და პოლიტიკურ დონეებზე არსებულ გამოწვევებზე რეაგირების გზით.

„მოგახსენებთ, სამხედრო საქმე კაცებით დომინირებული სფეროა, ამიტომ ჩემნაირი ქალების გამოცდილება და განვლილი გზა, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია სხვა გოგოებისა და ქალებისთვის. მიმაჩნია, რომ ჩემი ცხოვრების წესით ვცდილობ გარკვეული დრომოჭმული სტერეოტიპების დამსხვრევას, რომლებიც ქალებს სამხედრო კარიერის არჩევასა და ამ საქმეში წარმატების მიღწევაში უშლის ხელს“, - აღნიშნა მაიორმა კურტანიძემ და დასძინა, რომ სამაგალითოა დღეს თავდაცვის სამინისტროც, რომელიც გენდერულ თანასწორობას დიდ ყურადღებას უთმობს და ქალთა გაძლიერებისთვის პროექტებს წარმატებით ახორციელებს. საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, რომელმაც მთავრობის დადგენილებით, 2011 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა დაამტკიცა და ახლა ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მუდმივად მუშაობს. „წინ კიდევ დიდი გზაა, თუმცა სამინისტროს გრძელვადიან გეგმებში გენდერული თანასწორობის მიღწევა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, რაც ჩემთვის იმედის მომცემია“, - განაცხადა მაიორმა კურტანიძემ.

"ვცდილობ დავამსხვრიო დრომოჭმული სტერეოტიპები, რომლებიც ქალებს სამხედრო კარიერის არჩევასა და ამ საქმეში წარმატების მიღწევაში უშლის ხელს."

-მაიორი კურტანიძე

ამჟამად მაიორი კურტანიძე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრში კარიერის მენეჯერი და გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფის გენდერის მრჩეველია, რაც სამხედრო პირთა კარიერული და პროფესიული განვითარების სწორად დაგეგმარებასა და აღსრულების პროცესში კვალიფიციური რჩევებით დახმარებას გულისხმობს. 2021 წლის ივლისში მან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევების სამაგისტრო პროგრამა დაასრულა და მაგისტრის ხარისხი მოიპოვა.

"ქვეყნის სამსახურში ყოფნა მემამაცება და მინდა, გენდერული თანასწორობის სადარაჯოზე დგომითაც ვიამაყო — იმ კონტრიბუციით, რომელიც ჩემს თანამედროვე თუ მომავალ სამხედრო ქალებს ქართულ ჯარში გენდერული შეზღუდვების გარეშე სამსახურში დაეხმარება".

გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებებსა და ინტერესებს უთმობს. აღნიშნული ძალისხმევა მიზნად ისახავს კონფლიქტის შემდგომ გაჭიანურებული იძულებითი გადაადგილების პრობლემის მოგვარებას, რომელმაც გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ საქართველოს დაახლოებით 300,000 მოქალაქე აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან დევნილებად აქცია. ქალების, განსაკუთრებით ახალგაზრდა და გამყოფი ხაზების მიმდებარე თემებსა და დასახლებებში მცხოვრები ქალების, პოტენციალის გაძლიერება და მათი აქტიური ჩართულობა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებაში პროექტის საქმიანობის მთავარი მიმართულებაა.

„არსებული მონაცემები და მტკიცებულებები ადასტურებს, რომ მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში ქალებისა და გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება ხელს უწყობს დემოკრატიული მმართველობისა და გრძელვადიანი სტაბილურობის დამყარებას”,- განაცხადა საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელმა, თამარ საბედაშვილმა, რომელმაც ბოლო ათწლეულების მიღწევებზე

COVID-19-ის პანდემიის უარყოფით ზეგავლენასაც გაუსვა ხაზი. „შესაძლოა, გენდერული უთანასწორობის შემცირებისთვის, ტრანსფორმაციულ ცვლილებებსა და მშვიდობის შენარჩუნებაში ქალების უფრო ფართო და ეფექტიანი წარმომადგენლობისა და მონაწილეობის ხელშეწყობისთვის საქართველოში ამჟამინდელზე ოპტიმალური დრო არც დადგეს”,- აღნიშნა მან.


ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება საქართველოში

საქართველოში კონფლიქტების გაჭიანურებამ და მათი მოგვარების ფაზის გახანგრძლივებამ ქვეყანაში გრძელვადიანი და მდგრადი მშვიდობისა და განვითარების მისაღწევად არახელსაყრელი გარემო შექმნა.

მთლიანობაში ამ კონფლიქტებმა, მათ შორის 2008 წლის ომმა, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებად (დევნილებად) საქართველოს თითქმის **300,000** მოქალაქე აქცია. გადაუჭრელი კონფლიქტით გამოწვეული შეზღუდვები დევნილებსა და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირებს უკიდურესად რთულ გამოწვევებს უქმნის. დევნილთა უმეტესობას მშობლიურ რაიონებში დაბრუნება არ შეუძლია.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოს მთავრობას სისტემატურად უჭერდა მხარს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგით აღებული ვალდებულებების შესრულებაში, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებისთვის შემუშავებული სამი ეროვნული სამოქმედო გეგმის (2012-2015, 2016-2017 და 2018-2020) მეშვეობით და 2020-2024 პროექტის ფარგლებშიც, ხელს შეუწყობს მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც ადგილობრივი ორგანიზაციების, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობების ეფექტიან მონაწილეობას უზრუნველყოფს აღნიშნულ პროცესში.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია იხილეთ:

-  www.unwomen.org
-  www.facebook.com/unwomen
-  www.twitter.com/un_women
-  www.youtube.com/unwomen
-  www.instagram.com/unwomen